პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 2 (10088) | სამშაბათი, 4 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

კ. ვოროშილოვი. — სოციალიზმის სახელოვანი გზით (მე-2 გვერდი).

საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე (მე-3 გვერდი).

ი. სმირნოვი. — ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი" — ლენინური „ისკრის" მემკვიდრე (მე-3 გვერდი).

საახალწლო დარბაზობა პეკინში (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. პიკმა საახალწლო დარბაზობა გამართა (მე-3 გვერდი).

შეთანხმება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დამყარების სახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი

1955 წელი მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წელია. საბჭოთა ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიან გეგმას არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შეასრულებენ. ამის შედეგად ჩვენი საყვარელი სამშობლო გახდება კიდევ უფრო ძლიერი, იგი გადადგამს დიდ ნაბიჯს წინ კომუნიზმის გზაზე.

გმირი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა, მრავალმილიონიანი მასების შემოქმედებითი ინიციატივა — ეს ჩვენი ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის წყარო.

როგორც ცნობილია, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ინდუსტრიული ცენტრების მრეწველობამ, რომელსაც მანქანათმშენებლობის მძლავრი ბაზა აქვთ, ვადამდე შეასრულა 1954 წლის გეგმა. წლიური საწარმოო პროგრამა ვადაზე ადრე შეასრულეს საბჭოთა მენავთობეებმა, ელექტროსადგურების, რკინიგზის ტრანსპორტის, სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოთა, საშენი მასალების მრეწველობის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებმა, მეფოლადეებმა და მგლინავებმა, ქაღალდისა და ცელულოზის მრეწველობის მუშაკებმა. ვადამდე შეასრულეს საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებმა. წლიური გეგმის შესრულება უპატაკეს მეშახტეებმა და ქიმიკოსებმა.

ის, რომ 1954 წლის გეგმა ვადამდე შეასრულეს ათასობით საწარმომ და მშენებლობამ, უდიდესმა ინდუსტრიულმა ცენტრებმა, მრეწველობის ბევრმა უმნიშვნელოვანესმა დარგმა, კვლავ და კვლავ ცხადყოფს, თუ რა უმდიდრესი რეზერვები ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში. უფრო სრულად, უკეთ გამოვიყენოთ ეს რეზერვები, ახალ წელს მივაღწიოთ კიდევ უფრო დიდ საწარმოო გამარჯვებებს, უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის შემდგომ აღმავლობაში, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის მძლავრი საძირკველია, — ასეთია მრეწველობის მუშაკთა პატრიოტული მოვალეობა.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მშრომელების ინიციატივას, რომლებმაც კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს ამ შეჯიბრებაში, მხარი დაუჭირეს ლენინგრადის, კიევის, მინსკის, დონბასისა და ურალის, ციმბირისა და ვოლგისპირეთის, ბალტიისპირეთისა და ყაზახეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ბევრი საწარმოს კოლექტივებმა. ახლა ამოცანა ის არის, რომ მოწინავე კოლექტივების მაგალითს მიბაძოს უკლებლივ ყველა საწარმომ და მშენებლობამ.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს ასწავლის დაუცხრომლად იარონ წინ, არასოდეს არ სჯერდებოდნენ მიღწეულს, შეურიგებლად ებრძოდნენ ნაკლოვანებებს, თვითკმაყოფილებისა და ყოყოჩობის ყოველგვარ გამოვლინებას. ჩვენი მიღწევები ჭეშმარიტად ძალიან დიდია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ უბნებზე ჩვენთან ჯერ კიდევ არის ჩამორჩენილობა და თავმინებებულობა, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა მტკიცედ გავიელაშქროთ. ბევრმა საწარმომ და მრეწველობის ცალკეულმა დარგმაც კი გასულ წელს თავი ვერ გაართვეს საწარმოო გეგმებს, განსაკუთრებით ნაწარმის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მიხედვით, ვერ ასრულებდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების დავალებებს. ასეთი ნაკლოვანებანი მოძავალში შეუწყნარებელია.

ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე 1955 წელს, საჭიროა სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა, ყოველმა საწარმომ და ყოველმა მშენებლობამ, ყოველმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ყოველმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა უთუოდ და თანაბრად შეასრულოს საწარმოო დავალებანი. ამ მიზნით საჭიროა სრულფასოვნად გამოვიყენოთ ყოველი დღე და ყოველი საათი. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ არარიტმულობა ფაბრიკების, ქარხნების, შახტების, მშენებლობების, რკინიგზების, სანაოსნოთა მუშაობაში, დღითიდღე მკაცრად დავიცვათ პროდუქციის გამოშვების გრაფიკი.

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მთავარი და გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება. ცნობილია, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში დაახლოებით 50 პროცენტით და მშენებლობაზე — 55 პროცენტით. როგორია საქმის ვითარება ამ დავალების შესრულების მხრივ? მეხუთე ხუთწლედის გასული ოთხი წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა მრეწველობაში 33 პროცენტით, ხოლო მშენებლობაზე — 32 პროცენტით. უნდა ვაღიაროთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი ტემპი საკმარისი არ არის. ამავე დროს რეალური ხელფასი ამ პერიოდში გადიდდა 37 პროცენტით, ესე იგი უკვე გადაჭარბა იმ დონეს, რაც გათვალისწინებულია მთელი ხუთწლედისათვის. შრომის ნაყოფიერების ზრდა კი წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდას. მხოლოდ ამ პირობით შეუძლია ჩვენს საზოგადოებას მუდმივად ჰქონდეს სოციალისტური დაგროვება, გაფართოოს წარმოება და ამ საფუძველზე განუხრელად გაუმჯობესოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

1955 წელს მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკებმა უნდა მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გადიდებას, ეს ამოცანა უნდა იდგეს სოციალისტური შეჯიბრების ყველა მონაწილის, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების ინტერესები მოითხოვენ გავაძლიერით კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა წარმოებაში, გავავრცელოთ იგი არა მარტო ძირითად, არამედ შუალედ, დამხმარე საწარმოო პროცესებზეც. დიდი სიმწვავით დგას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში არსებული ტექნიკის სრულფასოვანი გამოყენების საკითხი. დროა ბოლო მოეღოს მოწყობილობის, მანქანებისა და ნედლეულისადმი უყაირათო დამოკიდებულებას.

მრეწველობის მუშაკები მოწოდებული არიან რაც შეიძლება უფრო სრულად და უკეთ გამოიყენონ წარმოების რეზერვები, რაც მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების გადამწყვეტი პირობაა. სამინისტროები, მთავარი სამმართველოები, ტრესტები, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელი და პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ღრმად ჩაუკვირდნენ საწარმოთა ტექნიკასა და ეკონომიკას, გამოძებნონ მანქანებისა და მთელი მოწყობილობის რაც შეიძლება უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების გზები, ტექნიკის შემდგომი სრულყოფის, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების გაუმჯობესების გზები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოების ნოვატორების ძვირფას მიღწევათა შესწავლასა და მუშათა შორის ფართოდ გავრცელებას. მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატების, ქარხანა „ზაპოროსტალის", ზლატოუსტისა და სეროვის მეტალურგიული ქარხნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მუშაობის საუკეთესო ნიმუშების მტკიცედ დანერგვა ბევრად უწყობს ხელს სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებას.

საჭიროა ყოველდღიურად ვზრუნავდეთ ახალი ტექნიკის განვითარების, მისი სრულყოფისა და წარმოების ყველა დარგში მისი ფართოდ დანერგვისათვის. არ შეიძლება შეეგუროგდეთ იმას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ ხელსაყრელ შესაძლებლობებს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, ხოლო სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს თვითდამშვიდებასა და ყოყოჩობას, რუტინასა და დაბავსებულობას.

მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა ვალია ყოველი ღონისძიებით დაჩქარონ ტექნიკური პროგრესი, იზრუნონ იმისათვის, რომ შექმნან ახალი, ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე დიდი წარმადობისა და ეკონომიური მანქანები, ჩარხები, მექანიზმები და სხვა მოწყობილობანი, ფართოდ გავავრცელონ შრომისა და წარმოების საუკეთესო ორგანიზაციის მაღალნაყოფიერი მეთოდები. პარტიული, პროფკავშირული, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მუდამ სათავეში ედგნენ ტექნიკურ პროგრესს, აქტიურად დაუჭირონ მხარი და წაახალისონ წარმოების ნოვატორთა, მოწინავე კონსტრუქტორთა, ტექნოლოგთა, ეკონომისტთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ძვირფასი ინიციატივა.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის!

„პრავდის" 3-I მოწინავე.

# ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★ ★

## ახალგაზრდობის ბალი კრემლში

გაჩირაღდნებულია კრემლის დიდი სასახლე. მოსკოვის ორი ათას ხუთასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მოვიდა აქ პირველ იანვარს საახალწლო ბალზე. მათთან ერთად არიან ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საღამოს რვა საათია. კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. დავიდოვმა შეკრებილებს მიულოცა ახალი წელი.

დიდებულად ჟღერს სიმღერა „პარტია ჩვენი მეისაჭეა". სიმღერას ასრულებს სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის გუნდი. მშობლიურ პარტიაზე სიმღერას უერთდებიან ახალგაზრდა მეფოლადეები, მშენებლები, რკინიგზელები, ფეიერვერკი, მანქანათმშენებლები. სტუმრებს შორის არიან ციმბირისა და ალტაის უამირი მიწების გარდამქმნელები — ახალგაზრდა მოსკოველები, რომლებიც შვებულებით ჩამოვიდნენ მშობლიურ დედაქალაქში.

გაჩაღებული ნაძვისხის გარშემო გიორგის დარბაზში, წახნაგოვან პალატასა და სხვა დარბაზებში დაიწყო კოსტიუმირებული ბალი.

ბალის მონაწილეებისათვის გაიმართა მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საკდესი).

## ღღესასწაული ყინულზე

### გაიხსნა სასრიალო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე

ათასობით მოსკოველი მოვიდა 1 იანვარს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. აქ გაიხსნა სასრიალო, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდია ჩვენს ქვეყანაში.

...დღის სამ საათზე სტუმართმოყვარულად გაიღო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კარი. მალე კოლმეურნეობათა მოედანზე და ხეივნებში გამოჩნდნენ პირველი მოციგურავეები. აქ მათ დიდი გასაქანი აქვთ. ასი ათასი კვადრატული მეტრი ყინული მომზადებულია სასრიალოდ. საციგურაო ფართობი გადაჭიმულია რამდენიმე კილომეტრზე.

ორ პავილიონში არის ტანგასახდელები 10 ათასი კაცისათვის. აქ შეიძლება ციგურების მიღება ქირით.

არც ისინი დავიწყებიათ, ვინც ციგურაობა არ იცის. დამწყებ მოციგურავეთათვის მოწყობილია სპეციალური მოედნები, სადაც გამოცდილი ინსტრუქტორები მუშაობენ.

როცა დაბინდდა, სასრიალოს სხვადასხვაფრად გაბრწყინებული ტერიტორია კიდევ უფრო ზღაპრული გახდა. უკვე ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი სრიალებდა ყინულოვან ბილიკებზე.

შუაღამემდე გაისმოდა მუსიკა და სიმღერები. პირველ დღეს ახალ სასრიალოზე რამდენიმე ათასი კაცი იყო. (საკდესი).

## საახალწლო დარბაზობა კრემლში

31 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამართეს საახალწლო დარბაზობა.

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ სსრ კავშირის მთავრობის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, წარმრეების მოწინავეები და მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა არმიის, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

დარბაზობის მონაწილენი ოვაციით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სიტყვას.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვებს, როცა მან გამარჯვება უსურვა დიდ საბჭოთა ხალხს, ბრძენ კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას, მათ ურღვევ კავშირს, სახელოვან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკას.

დარბაზობის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ მეგობარი დიდი ჩინელი ხალხის პატივსაცემად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა პატივსაცემად წარმოთქმულ სადღეგრძელოებს.

დარბაზობა პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია იყო.

* * *

დარბაზობის დროს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის მსახიობებმა. (საკდესი).

## სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა წლიური გეგმა შეასრულეს

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა შეასრულეს ქვანახშირის ამოღების გეგმა, რომელიც 1954 წელს დაწესებული იყო სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსათვის.

## სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა წლიური გეგმა შეასრულეს

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებმა 24 დეკემბერს შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გეგმა, რომელიც დაწესებული იყო 1954 წლისათვის, და ვადამდე შეასრულეს მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ქიმიური პროდუქციისა და ნაწარმის გეგმა. (საკდესი).

## სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ქაღალდისა და ცელულოზის წარმოების წლიური გეგმა

ქაღალდის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე — 28 დეკემბერს შეასრულეს ქაღალდისა და ცელულოზის წარმოების გეგმა, რაც დაწესებული იყო სსრ კავშირის ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის 1954 წელს.

## მეგობართა საჩუქრები

მახარაძე. (საკ. კორ.). ახალწლის წინადღეს მახარაძეში ჩამოვიდა უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. მეგუნოვი, რომელიც პირველად ესტუმრა მახარაძის რაიონის სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობას.

ბუდიონელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ძვირფას სტუმარს. ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა ს. ჩხაიძემ გ. მეგუნოვს გააცნო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები.

უკრაინელმა სტუმარმა გ. მეგუნოვმა განაცხადა: გენიჩესკელ და მახარაძელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება დიდი მონაპოვარია. გენიჩესკელები ახალი წარმატებებით შეხვდნენ 1955 წელს. გენიჩესკელებმა მახარაძელ მეგობრებს საჩუქრად გამოუგზავნეს 27 სული ჯიშიანი ძროხა და ბუღა-მწარმოებელი. უკრაინელი მეგობრები გილოცავენ ახალ წელს, ამხანაგებო! გისურვებენ უფრო მეტ წარმატებებს 1955 წელს.

31 დეკემბერს მახარაძელებმა გენიჩესკელებს გაუგზავნეს საახალწლო საჩუქრები: რამდენიმე ტონა ფორთოხალი და მანდარინი, 3 ტონაზე მეტი ხილი, 2 ტონა ვაშლი, ღვინო და სხვა პროდუქტები.



მეტალურგთა კულტურის სასახლე უაზახეთის სსრ ქალაქ ბალხაშში.

ფოტო პ. ფედოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მზადება არჩევნებისათვის

### გაჩაღდა პოლიტიკური აგიტაცია

დედაქალაქის კიროვის რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში ახალი ძალით გაჩაღდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ამ დღეებში პარტიის რაიკომში მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტატორების თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაწევის შესახებ.

რაიონში 1.500-ზე მეტი აგიტატორი მართავს საუბრებს საბჭოთა კონსტიტუციის, არჩევნების დებულების, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ახლადმოწყობილი აგიტპუნქტები უზრუნველყოფილია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით. მოსახლეობაში სისტემატიურად აწყობენ ცოცხალ და საინტერესო საუბრებს აგიტატორები ნ. ბოლქვაძე, შ. მექვაბიშვილი, ა. გურგენიძე და სხვები. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ამხ. თ. სანიშვილმა მოაწყო ამომრჩეველთა ექსკურსია დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში.

არჩევნებთან დაკავშირებით საწარმოებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

## საუბრები, ლექციები, მოხსენებები

ᲥᲚᲣᲑᲗᲠᲘ. (ტელეფონით). რაიონის მოსახლეობაში სამასზე მეტი აგიტატორი მართავს საუბრებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შესახებ.

რაიონში შექმნილია 16 აგიტპუნქტი. მაღალ დონეზე დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა მაღაროს, თებერდისა და სხვა სოფლების აგიტპუნქტებში. ამომრჩეველთა შორის განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ აგიტპუნქტები, რომლებსაც ამხ. მ. ჯოხაძე, ი. ფოჩხიანი, ე. აბაშიძე ხელმძღვანელობენ.

საუბრები, ლექციები და მოხსენებები საბჭოების არჩევნების შესახებ ეწყობა აგრეთვე სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში.

არჩევნებთან დაკავშირებით რაიონის მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა გააძლიერეს მზადება საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის.

## საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა წლიური გეგმა შეასრულეს

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა 1954 წლის საწარმოო გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში ვადაზე 3 დღით ადრე — 28 დეკემბრისათვის შეასრულეს 100,9 პროცენტით.

## ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საწარმოთა კოლექტივებმა წლიური გეგმა შეასრულეს

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა 1954 წლის საწარმოო გეგმა 29 დეკემბრისათვის შეასრულეს 100 პროცენტით.

## ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულეს

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1954 წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში ვადაზე ერთი თვით ადრე — 1954 წლის 1 დეკემბრისათვის შეასრულეს 100 პროცენტით.

## სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სისტემამ წლიური გეგმა შეასრულა

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სისტემის არტელებმა 1954 წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვებისა დარგში შეასრულეს 31 დეკემბერს 104,9 პროცენტით.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით კავშირგაბმულობის საერთო საკავშირო სამინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ ცნო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნას კავშირგაბმულობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და გადასცა მათ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით უმაღლესი განათლების საერთო საკავშირო სამინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ და საჭიროდ ცნო შეიქმნას უმაღლესი განათლების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო უკრაინის სს რესპუბლიკაში. (საკდესი).

## მოლოტოვ — სვერდლოვსკის ელექტროხაზის მშენებლობაზე

სვერდლოვსკი, 2 იანვარი. (საკდესი). აქ დამთავრდა მაღალვოლტიანი ქვესადგურის მშენებლობა, რომელმაც უნდა მიიღოს კამის ჰესის დენი.

კამის ჰიდროელექტროსადგურის დენი სვერდლოვსკს გადაეცემა 365 კილომეტრი სიგრძის ელექტრომაგისტრალით. ეს ელექტრომაგისტრალი შენდება ხუთი უბნიდან ერთსა და იმავე დროს. მშენებლებმა 905 ლითონის საყრდენიდან დადგეს 460-ზე მეტი. გაყვანილია 117 კილომეტრი სადენი.

# სოციალიზმის სახელოვანი გზით

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

სწრაფად მიჰქრის ისტორიის ლოკომოტივი. კაცობრიობა შევიდა ახალ — 1955 წელში. ახალი წლის მიჯნაზე მიღებულია შევაჯამოთ იმის შედეგები, რაც განვიცადეთ და გავაკეთეთ გასულ წელს. ეს ცუდი ტრადიცია როდია, იგი საშუალებას გვაძლევს უკეთ გადავავლოთ თვალი განვლილ გზას, გავიაზროთ იგი, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მომავლის პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის ხალხებს სრული საფუძვლით შეუძლიათ იამაყონ იმით, რაც შექმნილია მათი ბეჯითი შრომით, მათი გმირული ღონისძიებებით. ჯერ არასოდეს ასე შემჭიდროებული და მძლავრი არ ყოფილა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი ბანაკი, რომელიც ამჟამად 900 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს. ამ ბანაკის წარმატებანი დამაჯერებლად მოწმობენ იმას, რომ ვერავინ ვერ შეძლებს გადაადგილოს თავისუფალი ხალხები მათ მიერ არჩეულ სახელოვან გზას — სოციალიზმის გზას!

ოცდაჩვიდმეტ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ხალხები პირველნი დაადგნენ ისტორიისათვის მაშინ ჯერ კიდევ უცნობ ამ გზას. ჩამორჩენილი და სუსტი იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა. მეფის მთავრობის, ნებემამულთა და ბურჟუაზიის ანტახალხურმა პოლიტიკამ ეროვნული კატასტროფის პირას მიიყვანა იგი. ეკონომიურად ჩვენ მთელი ასეული წლით ჩამოვრჩებოდით მოწინავე ქვეყნებს. ეკონომიკის ყველა წამყვანი დარგი ხელში ჰაგდებული ჰქონდა უცხოეთის — გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის კაპიტალს. იმპერიალისტური ომით გაპარტახებულ და დატანჯულ რუსეთს ეროვნული დამოუკიდებლობის სრული დაკარგვა, დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის ნახევრადკოლონიურ დანამატად გადაქცევა ემუქრებოდა.

ამ კატასტროფისაგან ჩვენი საშობლო იხსნა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. „...ან დაიღუპე ან დაეწიე მოწინავე ქვეყნებს და გაუსწარი მათ აგრეთვე **ეკონომიურად**, — წერდა ოქტომბრის რევოლუციის წინადღეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. — ...დარჩა თუ მთელი ძალონით წინ გაქანება, ასე დასვა საკითხი ისტორიამ“.

და ჩვენი ქვეყნის ხალხები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი სისწრაფით გაეშურნენ წინ. მრავალი სიძნელისა და გაჭირვების გადატანა მოუხდათ მათ, მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა მათი მისწრაფება გამარჯვებისადმი, ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისადმი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა განმტკიცდა და გამოიწრთო სამოქალაქო ომის ცეცხლში, გმირულ ბრძოლაში საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ შეიარაღებული ხელით ჩაეხრჩო მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. როცა ეს ცდები მოგერიებულ იქნა და საბჭოთა რესპუბლიკა სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ მისი სახალხო მეურნეობა მთლად დანგრეული იყო, საერთაშორისო ბურჟუაზიას ახალი იმედები ჩაესახა. ჩვენს მტრებს ეგონათ, რომ ჩვენ ძალები არ გვეყოფოდა იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომლებიც სამეურნეო ნგრევამ გამოიწვია, რომ ეს სიძნელენი ჩვენ დაგვასამარებდნენ. მაგრამ კლასობრივი მტერი აქაც მოტყუვდა ანგარიშში. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა მეოხებით ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ მრეწველობა, არამედ მოკლე ვადაშიც გარდავქმენით იგი, გადავაკეთეთ ახალ ტექნიკურ საფუძველზე, რითაც მტკიცედ ავიღეთ ჩვენს ხელში მთელი სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციის გასაღები.

კომუნისტურ პარტიას ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ინდუსტრიალიზაციის განუხორციელებლად ჩვენ ვერ გავუძლებდით საერთაშორისო რეაქციის შემოტევას. და პარტიამ რწმენით, მაგრამ წინდახედულად, ამ საქმის სიძნელისა და სირთულის გათვალისწინებით, წაიყვანა ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზით. მოკლე ისტორიულ ვადაში შეიქმნა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ორგანიზებული მძლავრი მძიმე ინდუსტრია, კერძოდ, მისი ისეთი დარგები, რომლებიც სრულიად უცნობი იყო რევოლუციამდელი რუსეთისათვის — საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობა, ჩარხმშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, კომბაინების, მძლავრი ტურბინებისა და გენერატორების, ხარისხოვანი ფოლადისა და ა. შ. წარმოება. უკვე 1937 წელს სსრ კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 80 პროცენტზე მეტს ის საწარმოები იძლეოდნენ, რომლებიც აშენდა ან რეკონსტრუირებულ იქნა ხუთწლედების წლებში. 1913-დან 1940 წლამდე სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის პროდუქცია თითქმის 12-ჯერ გაიზარდა და თავისი მოცულობით პირველი ადგილი ეჭირა ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში.

ახლა სავსებით ცხადია, რომ მძლავრი მძიმე ინდუსტრია რომ არ ჰქონოდა, ჩვენი ქვეყანა ვერ გაუძლებდა დიდ სამამულო ომს, ვერ გაანადგურებდა ჰიტლერულ გერმანიას, რომლის განკარგულებაში იყო დასავლეთ ევროპის მთელი ინდუსტრიული სიმძლავრე. ომისშემდგომ წლებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავ შეუსუსტებელ ყურადღებას აქცევენ მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველთა საფუძველი იყო და არის. უკვე 1953 წელს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 30-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს და 2,5-ჯერ — ომამდელი 1940 წლის დონეს. თითქმის ოთხჯერ გადიდდა პროდუქცია მანქანათმშენებლობისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ინდუსტრიის გულს წარმოადგენს.

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში წარმატებით გადაწყდა ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესი ამოცანა, რომელიც წამოიჭრა მუშათა კლასის წინაშე ბურჟუაზიული წყობილების დამხობის შემდეგ — ამოცანა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მობრუნებისა განვითარების სოციალისტურ გზაზე, მისი გადაყვანა კოლექტივიზმის რელსებზე, მსხვილი მექანიზებული მიწათმოქმედების რელსებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ ამოცანას წყვეტდა, ხელმძღვანელობდა რა დიდი ლენინის მითითებებით იმის შესახებ, რომ შეუწყნარებელია ადმინისტრირება და რაიმე ძალადობა გლეხობის მიმართ. სოქმე ეხებოდა იმას, რომ გლეხები მათი საკუთარი ცხოვრების გამოცდილებით დაგვერწმუნებინა, თუ რა უპირატესობა აქვს და რა სარგებლობა მოაქვს მეურნეობის კოლექტიურ გაძღოლას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გამოყენებულ იქნას ყველაზე სრულყოფილი მანქანები, აგროტექნიკური მეცნიერების უახლესი მიღწევები. კოლექტიურ მეურნეობებად გლეხების გაერთიანების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ეს გაერთიანება ნებაყოფლობითია, დამყარებულია მილიონობით გლეხთა შეგნებულ დარწმუნებაზე იმაში, რომ მხოლოდ კოლმეურნეობებშია ხსნა სიღატაკისაგან, მხოლოდ კოლმეურნეობებშია შესაძლებელი ნამდვილად კულტურული და შეძლებული ცხოვრება გლეხობის მთელი მასისათვის.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ თვალსაჩინოდ დაამტკიცა თავისი უპირატესობანი ომის წლებში. სწორედ კოლმეურნეობათა მეოხებით ჩვენში არ მოხდა ის, რაც დაემართა რუსეთის სოფლის მეურნეობას პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა იგი მთლად დაეცა. ჩვენმა კოლმეურნეობებმა, რომლებიც შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიას და ქალაქების მოსახლეობას სურსათით, ხოლო მრეწველობას — ნედლეულით, დიდი ზიანი განიცადეს ფაშისტთა ურდოების შემოსევის შედეგად. ეს რომ ძველი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები ყოფილიყო, — ისინი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვეღარ დადგებოდნენ ფეხზე, მილიონობით გლეხი განწირული იქნებოდა შიმშილისა და სიღატაკისათვის. კოლექტიურმა მეურნეობებმა მოკლე ვადაში გადალახეს ომით გამოწვეული სიძნელენი და საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით, რომელიც უხვად ამარაგებს სოფლის მეურნეობას ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით, მტკიცედ მიდგან წინ, განუხრელი აღმავლობის გზით.

სოფლის მეურნეობის მიერ ომისშემდგომ წლებში მიღწეული წარმატებანი კვლავ და კვლავ დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალაა მძლავრი სოციალისტურ ინდუსტრიაში, იმ უდიდეს ყოველდღიურ დახმარებაში. რომელსაც მათ მრეწველობა უწევს. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ შექმნილმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განშტოებულმა ქსელმა კოლმეურნეობებს შეუქმნა მსხვილი მანქანური წარმოების მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1954 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა 1 მილიონ 260 ათასი ტრაქტორი (უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ჩვენ ასი ათასი ტრაქტორი გვექნებოდა), 326 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 370 ათასი სატვირთო ავტომობილი და მრავალი სხვა პირველხარისხოვანი მანქანა.

საბჭოთა კავშირი ამჟამად სავსებით აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას პურზე და აქვს საჭირო რეზერვები. მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანი მარტო პურით როდი ცხოვრობს. ადამიანთა მატერიალური საჭიროებანი განუწყვეტლივ იზრდება, და ეს, ბუნებრივია, აძლიერებს მოთხოვნილებას მაღალი ხარისხის საქონელზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველმხრივ გაფართოება. ამ ღონისძიებათა წყებაში მთავარი რგოლია მარცვლეულის წარმოების სერიოზული გადიდება. და ეს გასაგებიც არის: რაც უფრო მეტი მარცვლეული გვექნება, მით უფრო მეტი გვექნება არა მარტო პური, არამედ ხორციც, ერბო-კარაქი, მატყლი, ტყავი, აგრეთვე ტექნიკური კულტურები — ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი და ა. შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მარცვლეული წარმოადგენს კვების ყველა სხვა პროდუქტის საფუძველს, სახალხო მოხმარების ბევრი საქონლის წარმოების საფუძველს.

მეტი მარცვლეული რომ მიიღოს, საბჭოთა ხალხი ამჟამად ახორციელებს ყაზახეთისა და ციმბირის თვალუწვდენი ყამირი მიწების — მარცვლეულ კულტურათა მოსაყვანად გამოსადეგი ფართო ნაყოფიერი ვაკეების ათვისებას. თავდაპირველად ჩვენ ვვარაუდობდით 1954 წელს გაგვეტეხა 13 მილიონი ჰექტარი ყამირი, მაგრამ ხალხის ენთუზიაზმმა და შემოქმედებითმა აქტივობამ შორს მოიტოვა უკან ეს გეგმიანი ვარაუდები: უკვე 1 ნოემბრისათვის მოხნული იყო 17 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი. გაითვალისწინეს რა ეს გამოცდილება, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღეს ყამირ მიწებზე მარცვლეულის ნათესი 1956 წელს აიყვანონ 28-30 მილიონ ჰექტარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირს საკმაო მარცვლეული ექნება არა მარტო იმისათვის, რომ დაკმაყოფილოს მოსახლეობის მთელი მოთხოვნილება პურზე — ეს უკვე მიღწეულია, — არამედ იმისათვისაც, რომ სწრაფად განავითაროს მეცხოველეობა, შემდგომ გაადიდოს სახელმწიფო რეზერვები და ჰპირის ექსპორტი.

ყამირი მიწების ათვისებით ნათესი ფართობების გადიდებასთან ერთად ჩვენ კვლავ ვეცდებით გავადიდოთ მოსავლიანობა მთელ სოფლის მეურნეობაში. მიწათმოქმედების სოციალისტურ სისტემას აქვს ისეთი შესაძლებლობანი და უპირატესობანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანა, — შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის. ამით უზრუნველყოფილი იქნება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, მაქსიმალურად დაკმაყოფილებული იქნება მისი მუდმივად მზარდი მატერიალური მოთხოვნილებანი.

ვლაპარაკობთ რა საბჭოთა კავშირის წარმატებებზე სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენ მუდამ გვახსოვს ამ წარმატებათა ორი ძირითადი წყარო.

პირველი წყაროა მუშათა კლასისა და გლეხობის სამუდამოდ ურღვევი კავშირი. მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ხელიხელ ჩაკიდებული შრომობს სახალხო საბჭოთა ინტელიგენცია. ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა მთელი საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. კომუნიზმი და ხალხი ჩვენს ქვეყანაში მონოლითურ-ერთიან ძალად შეერთდნენ. პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის მთავრობისა და მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის დიად ერთიანობას.

მეორე წყაროა სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა და დღითიდღე მტკიცდება. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, მრავალეროვანი სახელმწიფოა. რევოლუციამდელ რუსეთში ბურჟუაზია და მემამულეები, მოქმედებდნენ რა პრინციპით — „გასთიშე და იბატონე“, ყოველნაირად ცდილობდნენ შუღლი და მტრობა ჩამოეგდოთ ჩვენს სამშობლოში მოსახლე ხალხებს შორის. საბჭოთა წყობილებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ამ შუღლსა და მტრობას. მან გადაწყვიტა სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა — ძმური მეგობრობით შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება, გვიჩვენა ეროვნული საკითხის ძირეული და სამართლიანი გადაწყვეტის ერთადერთი სწორი, მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების პირობებში შესაძლებელი მაგალითი.

აყვავებული შემოქმედებითი ძალებით ხედებიან საბჭოთა კავშირის ხალხები ახალ, 1955 წელს. თვალს გადაავლებენ რა განვლილ გზას, ისინი ამბობენ: ბევრი სიძნელე, მსხვერპლი და გაჭირვება განვლეთ, მაგრამ მით უფრო სასიხარულო და დიადია ჩვენი გამარჯვებების ნაყოფი. უშედეგო როდი იყო განვლილი წელიც. იგი აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ახალი დიდი ნაბიჯით კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ჩვენ ცოტა სიძნელეები როდი გვაქვს. გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის მთავრობა არ ფარავდნენ და არ ფარავენ ამ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს, რაზმავენ მშრომელთა მილიონიანი მასებს შემოქმედებითს აქტივობას ამ სიძნელეთა და ნაკლოვანებათა რაც შეიძლება სწრაფი დაძლევისათვის. მოგველის შემოქმედების სიხარულით აღსავსე დაძაბული შრომა, რომელიც ახალი, კიდევ უფრო სახელოვანი გამარჯვებებისაკენ წაგვიყვანს.

აჯამებენ რა გასულ წელს მიღწეულ თავიანთ წარმატებებს, საბჭოთა ადამიანები გულწრფელი სიხარულით ფიქრობენ ჩვენი მეზობლისა და მეგობრის — დიდი ჩინელი ხალხის შესანიშნავ მიღწევებზეც.

ჩვენი ხალხების ბედში ბევრი რამ არის საერთო. ისევე, როგორც რევოლუციამდელი რუსეთი, ჩინეთიც სასტიკ ჩაგვრას განიცდიდა იმპერიალისტებისა და შინაური რეაქციისაგან. ისევე, როგორც რუსეთის ხალხები, ჩინელი ხალხიც არასოდეს არ შერიგებია თავის უუფლებო მდგომარეობას და მრავალი წლის მანძილზე შეუპოვარ, გმირულ ბრძოლას ეწეოდა უცხოელი დამმონებლებისა და ჩინეთში მათი დამჭაშების წინააღმდეგ. ამ რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა ჩინეთის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი — ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც არა მარტო ჩინელი ხალხის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

ჩვენი ხალხი მუდამ გულწრფელი და ღრმა თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს ჩინელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას, სულით და გულით უსურვებდა მას გამარჯვებას და ურყევად სწამდა ეს გამარჯვება. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ლენინის საქმის დიდი განმგრძობი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ამბობდა, რომ ჩინეთის რევოლუციამ საუკუნეობრივი ძილისაგან გაღვიძა და აამძრავა ასეული მილიონობით ექსპლოატირებული და ჩაგრული, საბოლოოდ ამხილა გენერალთა ხროვების კონტრრევოლუციურობა, ნიღაბი ჩამოგლიჯა კონტრრევოლუციის გომინდანელ მსახურთ, განამტკიცა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი ხალხის ქვედაფენებში, მთელი მოძრაობა უფრო მაღალ სტადიაზე აიყვანა და ახალი იმედები გაუღვიძა მილიონობით ადამიანს. „მხოლოდ ბრმებსა და მხდალებს, — აღნიშნავდა მაშინ სტალინი, — შეუძლიათ დაეჭვდნენ იმაში, რომ ჩინელი მუშები და გლეხები ახალი რევოლუციური აღმავლობისაკენ მიდიან“. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, სიმართლე და სამართლიანობა მთლიანად ჩინეთის რევოლუციის მხარეზეაო. „ვინც ამ ძალას ანგარიშს არ უწევს და არ გაუწევს, ის დანამდვილებით წააგებს“.

ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მსგავსად იმისა, როგორც 1917 წლის ოქტომბერში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, დაამხეს რა კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება, იხსნეს თავიანთი სამშობლო კატასტროფისაგან, რომელიც მას ემუქრებოდა, ჩინეთის ხალხთა მასებმა, რომლებსაც ჩინელი კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, 1949 წლის ოქტომბერში იხსნეს თავიანთი ქვეყანა სრული დამონებისაგან, დაამხეს რა გომინდანელთა ხროვის და მის ზურგს უკან მდგომ ამერიკელ და სხვა იმპერიალისტთა ბატონობა. ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას.

აიღო რა თავის მშრომელ ხელში ძალაუფლება, ჩინელმა ხალხმა მოკლე ისტორიულ ვადაში შეასრულა ისეთი საქმეები, რომლებსაც წინათ ათეული და თვით ასეული წლები დასჭირდებოდა.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, სასიხარულოა ვხედავდეთ, რა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ამ ხნის განმავლობაში ჩინელმა ხალხმა ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად აღფრთოვანებს შრომითი გამარჯვებები ახალი ჩინეთის მუშებისა, რომელთა მამაცური ღონისძიებების შედეგად უმოკლეს ვადაში ნანგრევებიდან იქნა აღდგენილი გომინდანელთა ბანდების მიერ დანგრეული ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და მაღაროები. ჩინეთის მრეწველობას, რომელსაც ჩინელი კომუნისტების მტკიცე, უნარიანი ხელი წარმართავს, ახლა სულ უფრო მეტი წონა ენიჭება ჩინეთის ნაციონალურ ეკონომიკაში, ხოლო მრეწველობის ზრდასთან ერთად უმჯობესდება მშრომელი მასების კეთილდღეობაც. საბჭოთა ხალხმა საკუთარი გამოცდილებით კარგად იცის, რომ მხოლოდ ინდუსტრიალიზაცია უზრუნველყოფს ქვეყნის დამოუკიდებლობას. ურყევი სიმტკიცე, რომლითაც ჩინეთის მშრომელები თავიანთი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ახორციელებენ, საყოველთაო პატივისცემის ღირსია.

მსხვილი მრეწველობის მშენებლობა მტკიცე და საიმედო ბაზას შეუქმნის ჩინეთის ეკონომიურ აყვავებას, კიდევ უფრო ძლიერსა და მძლავრს გახდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

საბჭოთა ხალხი სულით და გულით უსურვებს ჩინეთის მუშათა კლასს და მთელ მრავალმილიონიან შრომისმოყვარე ჩინელ ხალხს შემდგომ წარმატებებს თავისი სამშობლოს მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევის დიად საქმეში.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, არ შეიძლება არ გვახარებდეს აგრეთვე ჩინელი ხალხის წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინეთის მრავალმილიონიანმა გლეხობამ სამუდამოდ მოუღო ბოლო მემამულურ კაბალას — ჩინეთში იმპერიალისტთა ბატონობის სოციალურ საფუძველს. ახლა მარტო უგუნურებს შეუძლიათ ბოდვითი ოცნება იმაზე, რომ ხელახლა დაადგან ჩინელ ხალხს მემამულური მონობის უღელი. თავისუფლების შუქი ბრწყინვალე სხივებად აელვარდა მშრომელთა სახლებში, სადაც განთავისუფლების შემდეგ დამკვიდრდა ბედნიერება, დამკვიდრდა შეძლებულობა. ახლა შექმნილია ყველა შესაძლებლობა, გაკაფულია გზა ჩინეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების დაჩქარებული აღმავლობისათვის.

უაღრესად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩინეთის სოფელში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახით ისახება მეურნეობის სოციალისტური ფორმები. საბჭოთა ხალხი წარმატებებს უსურვებს ჩინელ ხალხს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობის საქმეში, სოფლის თანდათანობითი სოციალისტური გარდაქმნისათვის საჭირო პირობების შექმნის საქმეში.

სახალხო ჩინეთის მთავარი მიღწევა ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკასთან ერთად იზრდებიან თვით ადამიანებიც. ისინი თავისუფლდებიან ძველი ფსიქოლოგიისაგან, ჩვევებისაგან, ჩვეულებებისაგან, მაღლდება მათი შეგნებულობის დონე. ჩინეთის მშრომელებმა თითქოს არწივის ფრთები შეისხეს, ისინი ამაღლდნენ სულიერად, თავისუფლად ამოისუნთქეს, პირველად იგრძნეს თავი თავიანთი მიწის, ყველა მისი სიმდიდრის ბატონ-პატრონად, ახალი ცხოვრების გმირებად და შემომქმედებად. და ეს არის ჩინეთის სოციალისტური მშენებლობის ყველა წარმატების საწინდარი. ვინაიდან არ არის და არც შეიძლება იყოს დაუძლეველი სიძნელეები იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ ისინი მუშაობენ არა ექსპლოატატორების გასამდიდრებლად, არამედ თავისთვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, თავიანთი მშობლიური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ამას დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებების გამოცდილება, ამას მოწმობს ჩვენი ჩინელი მეგობრების საკუთარი გამოცდილებაც.

მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ ახლა ჩინეთის სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი ეროვნებანი. მტრობამ და შუღლმა, რასაც ხალხებს შორის ნერგავდნენ რეაქციული ძალები, ადგილი დაუთმო მეგობრობასა და თანამშრომლობას. ჩინეთის ყველა ეროვნების ერთსულოვანი მისწრაფებაა ნახოს თავისი სამშობლო მდიდარი, ბედნიერი და აყვავების გზაზე მდგომი. საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებით იციან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში ხალხთა მეგობრობას, უსურვებენ ჩინეთის ყველა ეროვნებას განამტკიცონ ერთსულოვნება და ერთიანობა — მათი ბედნიერებისა და პროგრესის საიმედო გარანტია.

საბჭოთა ხალხისათვის, რომელმაც ისტორიაში პირველად ააშენა სოციალისტური საზოგადოება, გასაგებია იმ ამოცანების სირთულე და სიდიადე, რომელთა გადაწყვეტასაც შეუდგა ჩინელი ხალხი. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით ჩინელი მშრომელი ხალხის ძალა და სიბრძნე და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ მას ძალუძს გადაწყვიტოს ეს გიგანტური ამოცანები. რუსული ანდაზა ამბობს: „დიდ ხომალდს ნაოსნობაც დიდი შეჰფერის!“.

ჩინელი ხალხი განმარტოებული როდია. მისთვის მუდამ უზრუნველყოფილია სრული და უთუო მხარდაჭერა საბჭოთა ხალხისა, რომელიც მზად არის სულით და გულით გადასცეს მთელი თავისი გამოცდილება, რათა დააჩქაროს სოციალისტური ჩინეთის მშენებლობა. მისთვის უზრუნველყოფილია მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი მძლავრი ბანაკის მხარდაჭერაც. მას თანაუგრძნობს მთელი მშრომელი კაცობრიობა.

ჩინეთის სახელმწიფოს საჭესთან დგას ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით. მარქსიზმ-ლენინიზმი — აი საიმედო და უტყუარი კომპასი, რომელსაც უნარიანად იყენებს ჩინეთის კომუნისტური პარტია, ითვალისწინებს რა თავისი ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებსა და კონკრეტულ ვითარებას.

ჰყავს რა ისეთი ბრძენი მესაჭე, როგორიც არის კომუნისტური პარტია, რომელიც შეიარაღებულია ისეთი კომპასით, როგორიც მარქსიზმ-ლენინიზმია, ჩინელი ხალხი წარმატებით მიაღწევს დასახულ მიზანს, აააშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. ამის საწინდარია მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი, რომლის განმტკიცებისათვის — დაცარიელებულად ბუჟარბ ჩინეთის ეროვნულ-ეროვნული

მსოფლიოში ეს არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს ჩინელ ხალხს მის მიერ არჩეული გზიდან. და ამერიკელი იმპერიალისტები ამაოდ იდგამენ წელებზე ფეხს, რომ შეაჩერონ, შეაფერხონ ჩინელი ხალხის დიადი წინსვლა სოციალიზმისაკენ. ეს ცდები ჩასაფუშავად არის განწირული.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ტაივანზე თავშეფარებულ ჩან კაი-შის ხროვასთან ამას წინათ დადეს ეგრეთწოდებული „ხელშეკრულება ურთიერთ უშიშროების შესახებ“. ამერიკელი აგრესორები ჩინეთში დაკარგული თავიანთი ბატონობის აღდგენის გეგმებს მერყევ ნიადაგზე აგებენ. მათ არ ესმით, რომ ჩანკაი-შელთა ხროვის პარპაში ჩინეთში — ეს არის გუშინდელი დღე, რომელიც არაასოდეს არ დაბრუნდება. ჩინელმა ხალხმა ამოცანად დაისახა გათავისუფლოს ტაივანი და ამით დაამთავროს ბრძოლა ჩინეთის მთელი მიწა-წყლის გაერთიანებისათვის. ეს ამოცანა სავსებით შეესაბამება შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ინტერესებს.

იარაღის ჩხარუნით, შანტაჟის, პროვოკაციების, აღვირახსნილი მუქარის გამოყენებით ომის გამჩაღებლები ცდილობენ დააშინონ თავისუფალი ხალხები. ამაო ცდაა! ხალხებს, რომლებიც თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი გახდნენ, მაგარი ნერვები, მტკიცე ნებისყოფა, მძლავრი, დევგმირული ძალა და, რაც მთავარია, ადამიანის დიდი გონება აქვთ.

ამას წინათ ჩინელმა ხალხმა ზეიმით იდღესასწაულა თავისი რესპუბლიკის მეხუთე წლისთავი. მასთან ერთად ეს ისტორიული თარიღი ფართოდ აღნიშნეს საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებმა. ჩინეთში გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკება, რომელიც მაშინ პეკინში მოეწყო, გულწრფელი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკების შედეგი იყო ჩინელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობისა და მჭიდრო ძმური თანამშრომლობის მტკიცე-მტყველური დემონსტრაცია. ეს მეგობრობა და თანამშრომლობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების კეთილშობილურ მიზნებს ისახავს. ამიტომ არის, რომ არა მარტო საბჭოთა ხალხი და ჩინელი ხალხი. არამედ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხიც პეკინის მოლაპარაკების შედეგებს აფასებს როგორც დიდმნიშვნელოვან წვლილს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმეში.

ჩვენი ხალხები არავის არ ემუქრებიან, არავისზე თავდასხმას არ აპირებენ. ისინი მთელი ძალებით ცდილობენ დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა. მაგრამ ნუ დაივიწყებენ მშვიდობის მტრები, რომ თავისუფალი ხალხები მზად არიან სავსებით აღჭურვილნი შეხვდნენ ომის გაჩაღებელთა ყოველგვარ ხრიკებს. ამ მზადყოფნამ გამოხატულება ჰპოვა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე. საბჭოთა კავშირის და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები კმაყოფილებით და სიხარულით შეხვდნენ დიდი ჩინეთის წარმომადგენლის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩინელი ხალხი მთელი ძალებით უჭერს მხარს მათს ბრძოლას ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

იმის შეგნება, რომ ჩინელი ხალხი ევროპის ამბების გულგრილ მეთვალყურედ არ დარჩება, თავისუფალ

# საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

## სტალინირი

დღითიდღე უფრო კეთილმოწყობილი ხდება სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრი სტალინირი. ძველად უყურადღებოდ მიტოვებული დაბა ცხინვალი, თავისი ვიწრო და ტალახიანი ქუჩებით, ჩაბნელებული სახლებით, ახლა რეს-პუბლიკის ერთ-ერთ ლამაზ ქალაქად იქცა. სტალინირში მუშაობს ხე-ტყის კომბინატი, ლუდის ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის მრავალი საწარმო, მშრომელთა სამსახურშია ჩაყენებული სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ჯანმრთელობის კერები. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით სტალინირში ფართოდ გაიშალა ახალმშენებლობანი — დაიწყო პურის მექანიზებული ქარხნის, აგურის, შამპანური ღვინოების პირველადი დამუშავების, საკონსერვო და ხილის შემფუთველი ქარხნების, საყოფაცხოვრებო კომბინატისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ გარემოებამ ახალი, გაზრდილი ამოცანები დააყენა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე.

ამ ამოცანების განხორციელების საკითხებზე გაამახვილა ყურადღება ამას წინათ ჩატარებულმა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის X კონფერენციამ, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ჯუსოევი.

მოხსენებიდან და დელეგატთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის საწარმოებმა ერთგვაროვად გაუმჯობესეს მუშაობა. საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. მოწინავე საწარმოთა შორის კონფერენციაზე დაასახელეს ადგილობრივი მრეწველობის მექანიკური ქარხანა, რომლის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა დავალება და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში გეგმით გათვალისწინებული 500-ის ნაცვლად 600 მიკროქვაბი გაგზავნა.

კონფერენციაზე ამავე დროს აღინიშნა, რომ გეგმის შესრულებაში ჩამორჩება ქალაქის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ჩამორჩენილ საწარმოებს.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილე დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახალმშენებლობათა საკითხებს. აღინიშნა, რომ ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა მიმდინარეობაში მიღწევებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. სამშენებლო სამუშაოებს სტალინირში აწარმოებენ „გორმშენისა“ და საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის სტალინირის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, აგრეთვე ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო კანტორა. ეს სამშენებლო ორგანიზაციები არ ასრულებენ მშენებლობის გეგმებს, არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან სამუშაოთა ვადებისა და ღირებულების შემცირებისათვის, სუსტად იყენებენ მექანიზმებს, არღვევენ მშენებლობის კვირეულ და საღღეღამისო გრაფიკებს. როგორც „გორმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა კ. თებლოევმა აღნიშნა, მშენებლობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია მრავალ ობიექტზე მუშახელის და მექანიზმების დაქსაქსვა.

კონფერენციის მონაწილეებმა გააკრიტიკეს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, რომლის მიზეზითაც მშენებლები ხშირად დროულად ვერ იღებენ საჭირო საშენ მასალებს, და აზრი გამოთქვეს ადგილობრივ მოეწყოს მთელი რიგი საშენი მასალების წარმოება.

კონფერენციის დელეგატებმა ილაპარაკეს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობაზე. აღინიშნეს, რომ საკმაო რაოდენობით არ ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები მეცნიერულ-თეორიტიკურ, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე. სათანადო დახმარება არ ეწევა პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, ხოლო ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში — წიგნზე დამოუკიდებლად მოსმენა ამხანაგებს. პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე ნორმალური ტიპის საშუალო სასწავლებლებში მოისუსტებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კონფერენციამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. გაზაევი, მეორე მდივნად — ამხ. ა. მამისაშვილი, მდივნად — ამხ. ნ. გაბუევა.

**ი. თუღიაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ხაშური

ხაშურის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ქვლივიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის სოფლის მეურნეობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმები. 1954 წელს თავთავიანი კულტურები საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 4,7 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14,6 ცენტნერისა. ასევე დაბალია შაქრის ჭარხლის, სიმინდის, კარტოფილის და სხვა კულტურების მოსავლიანობა. არ სრულდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები. ეს შეუწყნარებელი ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ზერელედ, არაკონკრეტულად ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის დარგებს, არ იღებდნენ ოპერატიულ, ქმედითზომებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დაუშვეს სერიოზული შეცდომები ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევის საქმეში.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, თქვა მომხსენებელმა, ამჟამად გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მიმდინარე სასწავლო წელს ბევრ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში სწორად დააკომპლექტეს წრეები და პოლიტსკოლები. მიუხედავად ამისა, იყო პარტიული განათლების ქსელზე ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის შემთხვევები. ზოგმა ორგანიზაციამ ანგარიში არ გაუწია კომუნისტების სურვილს და ისინი ხელაღებით გააერთიანა წრეებში. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად გამოდიან კოლმეურნეთა წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით, ზოგჯერ დაბალია ლექციების ხარისხი. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ირღვევა შრომის დისციპლინა, საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს შრომისუნარიან კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი.

სიტყვით გამოსულმა დელეგატმა — დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულმა ხაშურის რაიონში ნ. გოგოლაძემ განაცხადა, რომ პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი უხეშად ამახინჯებდნენ კადრების შერჩევის პარტიულ პრინციპს. რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი კონფერენციაზე მკაცრად გააკრიტიკეს დელეგატებმა გ. მეტრეველმა, ლ. ნოზაძემ, ვ. ლაცაბიძემ, შ. გურეშიძემ, მ. ჯიბუტმა და სხვებმა.

* * *

ახლადარჩეულმა რაიკომის პლენუმმა რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. ქვლივიძე, მეორე მდივნად — ამხ. შ. ხვედელიძე, მდივნებად მტს-ების ზონებში — ამხ. ს. გოგიბერიძე და ამხ. პ. კუბლაშვილი.

**ვ. გურგენიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# საახალწლო დარბაზობა პეკინში

პეკინი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საagენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამართა დარბაზობა ახალი წლის გამო. დარბაზობას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე საზოგადოებრივობის წარმომადგენლები. სულ დარბაზობას 800-ზე მეტი კაცი დაესწრო.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. პიკმა საახალწლო დარბაზობა გამართა

ბერლინი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საagენტო იუწყება, 1 იანვარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა თავის რეზიდენციაში ნიდერშენჰაუზენში მიიღო საბჭოსა და მხარეთა პალატის პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები და გერმანიის ევანგელიკური ეკლესიის წარმომადგენელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, რომლებმაც პრეზიდენტს გადასცეს საახალწლო მილოცვები და სურვილები.

თავის სიტყვაში ვილჰელმ პიკმა ხაზგასმით აღნიშნა:

ახალ წელს გერმანიის ნამდვილად ეროვნული პოლიტიკის საზომი იქნება, უწინარეს ყოვლისა, მზადყოფნა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ შეთანხმებისათვის და ბრძოლა ევროპის ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისათვის.

თავიდან ავიცილოთ ის საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს გერმანელი ხალხისათვის პარიზის შეთანხმებათაგან, და მივაღწიოთ გერმანიის დემოკრატიულ სახელმწიფოში მშვიდობიან გაერთიანებას — ეს არის სახალხო პალატის უპირველესი ამოცანა ახალ წელს.

უპასუხა რა იმ მილოცვებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით გადასცა მას პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა, პრეზიდენტმა ვ. პიკმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს თავისი მთავრობის პოლიტიკას. მან აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის წინადადებანი ითვალისწინებენ იმას, რომ ჯერ კიდევ 1955 წელს განხორციელდება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები და ამ საფუძველზე შეიქმნება სრულიად გერმანიის მთავრობა. ამ წინადადებათა განხორციელება, განაგრძო ვილჰელმ პიკმა, შესაძლებელია. მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ გერმანიის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობა ხელს შეუწყობს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და მათს განხორციელებას. ეს აუცილებელი პირობაა გერმანიის ეროვნული გაერთიანებისა და ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან ერთად, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ მოსკოვის თათბირზე, ჩვენ განვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობა ამპერიალისტთა ყოველგვარი ხელყოფისაგან.

# შეთანხმება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ

ბიბლიოთეკა

პეკინი, 30 დეკემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ საქმიანობა შეუყვიტა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის სააქციო საზოგადოებამ, პეკინში წარმოებდა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამოქალაქო საჰაერო მიმოსვლის შესახებ. 30 დეკემბერს პეკინში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმებას სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ.

ჩინეთის მხრივ შეთანხმებას ხელს აწერს მოლაპარაკებაზე ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი გენერალი უ ფა-სიანი, საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა მოლაპარაკებაზე ჩამოსულმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მარშალმა ს. ფ. ევგორონკოვმა.

შეთანხმების ხელმოწერას ჩინეთის მხრივ დაესწრნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ ი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უ სიუ-ციუანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების უფროსის მოადგილე ლიუ ძინ-იუი, საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი ვან ჯო-ეუი, დელეგაციის წევრები ჩენ ეუი-ლუანი, შენ ტუ.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ: სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი, საბჭოთა დელეგაციის წევრები დანილიჩევი, პორფიროვი და სხვები.

შეთანხმების ხელმოწერის გამო გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

# კომუნიკე სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გულწრფელი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, ამა წლის 30 დეკემბერს პეკინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ. ეს შეთანხმება ითვალისწინებს დაწესდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სამოქალაქო თვითმფრინაველის საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და პეკინს, ალმა-ატასა და ურუმჩის შუა და ჩიტასა და პეკინს შუა.

შეთანხმებას ხელს აწერენ: სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაური ს. ფ. ევგორონკოვი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური უ ფა-სიანი.

შეთანხმების ხელმოწერა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობისა და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

# გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის სააქციო საზოგადოების შესახებ

პეკინი, 30 დეკემბერი. (საკდესი). იმის შესაბამისად, რომ 1954 წლის 12 ოქტომბერს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს შორის დაიდო შეთანხმება იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გადაეცეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილი, 29 დეკემბერს საღამოს, ერთი მხრივ, პეკინში აქციონერთა წარმომადგენლებმა, მეორე მხრივ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებულმა სამოქალაქო ფლოტის სამმართველომ გადაწყვიტეს ჩაითვალოს, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის სააქციო საზოგადოებამ 1955 წლის 1 იანვრიდან შეწყვიტა თავისი საქმიანობა, და საზოგადოების კუთვნილი მთელი ქონება და ფასეულობა 1955 წლის 1 იანვრიდან გადაეცეს ჩინეთის მხარის წარმომადგენელს.

# ალბანეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის გეგმა

ტირანა, 2 იანვარი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის სპირო კოლეკას ინტერვიუ ალბანეთის დეპუტატთა საagენტოს კორესპონდენტისადმი 1955 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითად ამოცანათა შესახებ. კერძოდ, სპირო კოლეკამ განაცხადა, რომ ეს გეგმა ითვალისწინებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, მეურნეობის სხვადასხვა დარგის გეგმაშეუხმობელი, პროპორციული განვითარების უზრუნველყოფას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებითს ზრდას იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას არსებული დისპროპორცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის. 1954 წელს გამოშვებული საბრუნავი პროდუქციის მოცულობასთან შედარებით, 1955 წლის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 15 პროცენტით. მრეწველობის ძირითად დარგებში დასახულია პროდუქციის გამოშვების შემდგომი გადიდება 1954 წელთან შედარებით: სამთო მრეწველობაში — 22 პროცენტით, სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოებში — 13 პროცენტით, ადგილობრივ მრეწველობაში — 20 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში — 10 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 15 პროცენტით და სხვ.

# ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი“ — ლენინური „ისკრის“ მემკვიდრე

## პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავის გამო

ნახევარი საუკუნის წინათ, რუსეთის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე, გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთ „ვპერიოდის“ პირველი ნომერი.

გაზეთი „ვპერიოდი“ დააარსა დიდმა ლენინმა იმ პერიოდში, როდესაც ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის წარმოებდა გაფფორებული ბრძოლა, რომელიც დაიწყო 1903 წელს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე. ეს გაზეთი მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მძლავრი საშუალება, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ხალხთა მასების პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის საშუალება გახდა.

მეორე ყრილობის შემდეგ მენშევიკები არაფერს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ ჩაეშალათ რევოლუციური პარტიის მშენებლობა. ისინი რუს რევოლუციონერ-მარქსისტებს მეორე ყრილობიდან ეწეოდნენ უკან — ორგანიზაციული თავაშვებულობისაკენ, წრეობანისაკენ, კუსტარულობისაკენ. ხელთ იგდეს რა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი და „ისკრის“ რედაქცია, მათ „ისკრა“ გადაიქცეს ლენინის, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ, ოპორტუნიზმის პროპაგანდის ორგანოდ. ძველ, ლენინურ „ისკრასა“ და ახალ, მენშევიკურ „ისკრას“ შორის უფსკრული გაჩნდა.

რუსეთში პოლიტიკური ვითარება კი სწრაფად მწვავდებოდა. ქვეყანა იდგა სახალხო რევოლუციის წინაშე, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ცარიზმის დამხობა, მემამულურ-ბატონყმური წყობილების მოსპობა, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. რევოლუცია გაიმარჯვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათავეში ჩაუდგებოდა რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი პროლეტარიატი გლეხთა მასების აქტიური მხარდაჭერით. ასეთ პირობებში აუცილებლად საჭირო იყო მენშევიკების განადგურება, მათი მოლალატური, გამოშვებული საქმიანობის აღკვეთა, პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ტაქტიკური საფუძვლების დაცვა.

ლენინისა და მისი მომხრეების წინაშე წამოიჭრა გადაუდებელი ამოცანა: დაეარსებინათ ახალი გაზეთი, მოეწვიათ პარტიის მესამე ყრილობა, შეექმნათ ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც რევოლუციური უმრავლესობის ნების გამომხატველი იქნებოდა. ამ ამოცანის განხორციელებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ბეჭდვითი ორგანოს შექმნას. „მთელი საქმე ახლა ეს ორგანოა,“ — წერდა ლენინი (თხზ., ტ. 34, გვ. 302-303). რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მოძრაობის ახალგაზელი გიგანტური, უმაგალითო ზრდის დროს“ რევოლუციის ხელმძღვანელობა შეიძლება მხოლოდ პრესის საშუალებით (თხზ., ტ. 34, გვ. 408).

გაზეთი „ვპერიოდი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 4 იანვარს, ყოველკვირეულად გამოდიოდა საზღვარგარეთ (ჟენევაში), ფარულად იგზავნებოდა რუსეთში და ფრაცელდებოდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შორის. გაზეთის იდეური სულისჩამდგმელი და პრაქტიკული ხელმძღვანელი იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. მისი უახლოესი თანამებრძოლები რედაქციაში იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი. მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა — ოთხთვენახევარში გამოვიდა 18 ნომერი, — გაზეთმა „ვპერიოდმა“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიაში.

აღადგინა რა ლენინური „ისკრის“ რევოლუციური ტრადიციები, რომლებიც ახალისკრელმა მენშევიკებმა შებილწეს, გაზეთმა „ვპერიოდმა“ მაღლა აღმართა პარტიულობის, პროლეტარიატის მტრებისადმი შეურიგებლობის, რევოლუციური მარქსიზმის იდეებისადმი ერთგულების დროშა. „გაზეთ „ვპერიოდის“ მიმართულება, — წერდა ლენინი, — ძველი „ისკრის“ მიმართულებაა. ძველი „ისკრისათვის“ „ვპერიოდი“ გადაჭრით ებრძვის ახალ „ისკრას“ (თხზ., ტ. 8, გვ. 140).

მუშა მკითხველები, რომლებსაც იმედი გაუცრუა ახალმა „ისკრამ“, ენთუზიაზმით შეხვდნენ გაზეთ „ვპერიოდის“ გამოსვლას. მათ მასში ჰპოვეს პროლეტარიატის ინტერესების მტკიცე დამცველი, მუშათა კლასის მებრძოლი რევოლუციური პარტიისათვის გაბედული, თანმიმდევარი მებრძოლი. გაზეთის — მძლავრი კოლექტიური ორგანიზატორის, კოლექტიური პროპაგანდისტისა და აგიტატორის მოწოდებებს მხურვალე გამოხმაურება ჰქონდა რუსეთის ყველა კუთხეში.

პირველი ნომრიდანვე გაზეთმა „ვპერიოდმა“ გააჩაღა ბრძოლა პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისათვის.

ამ ბრძოლის პროგრამა იყო ლენინის მიერ შედგენილი მიმართვა „პარტიისადმი“. იგი მიღებულ იქნა ზვიცერიაში 1904 წლის აგვისტოში შემდგარ უმრავლესობის წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც 22 ბოლშევიკის თათბირი. მიმართვაში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ყრილობის მოწვევის აუცილებლობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი პარტიის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ დაგვეცვა მისი სიწმინდე და ღირსება, გვემხილებინა ოპორტუნიზმი მენშევიკებისა, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მარქსიზმს, გაგვეშალა რუსეთის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ახალ ისტორიულ პირობებში.

„ვპერიოდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის 40-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. შემოქმედებითად ავითარებდა რა მარქსიზმს და ეყრდნობოდა რა ზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ღრმეს ცოდნას, ლენინი ყოველი თავისი სტატიით სახავდა პარტიისა და რევოლუციის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ამოცანების გადაჭრის გზებს, იძლეოდა ამომწურავ პასუხს თანამედროვეობის ყველა მთავარ საკითხზე.

პარტიის რევოლუციური ტაქტიკის დასაბუთებისა და განვითარებისადმი, მენშევიკების ოპორტუნისტული ტაქტიკის მხილებისა და კრიტიკისადმი მიძღვნილია „ვპერიოდში“ გამოქვეყნებული ლენინის სტატიები: „ორი ტაქტიკა“, „მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?“, „სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუციური მთავრობა“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“ და სხვ. ამ სტატიებში ლენინმა გენიალურად დაამუშავა ბოლშევიკების ტაქტიკის ძირითადი საკითხები: პროლეტარიატის ჰეგემონია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, შეიარაღებული აჯანყება, დროებითი რევოლუციური მთავრობა და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი, ლიბერალური ბურჟუაზიისადმი, რუსეთ-იაპონიის ომისადმი. მან გვიჩვენა, რომ რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობაა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, როცა შენარჩუნებულია მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი და იზოლირებულია ლიბერალური ბურჟუაზია.

გაზეთ „ვპერიოდში“ გამოქვეყნებული ლენინის სტატიები რუს მარქსისტებს აძლევდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის პერსპექტივას, უნერგავდა ოპორტუნისტ-მენშევიკებზე გამარჯვების რწმენას, რომლებიც იცავდნენ რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას და კურსი ჰქონდათ აღებული რევოლუციის შეკვეცაზე.

ვ. ი. ლენინი ფაქიზად ისახავდა მიზნად მოძრაობის ყველა ამბის შესახებ, მუშათა განწყობილების შესახებ, „ვპერიოდის“ მასალებზე გამოხმაურების შესახებ.

ყრილობისათვის პრაქტიკულ მზადებას აწარმოებდა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს, რომელიც არჩეული იყო რუსეთში ბოლშევიკური კომიტეტების სამ საოლქო კონფერენციაზე (სამხრეთის, კავკასიისა და ჩრდილოეთისა). სამივე კონფერენციამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მესამე ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას.

1905 წლის თებერვლის ბოლოს კი გაზეთმა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სახელით გამოაქვეყნა უწყება პარტიის მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ. უწყების ტექსტს „ვპერიოდის“ რედაქციამ დაურთო ლენინის სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კრიზისიდან პარტიის გამოსვლის საკითხი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილია, რომ ყრილობის მოწვევა ხდება პარტიის კომიტეტების უმრავლესობის დავალებით, მენშევიკების მიერ ხელში ჩაგდებული ცენტრალური კომიტეტის ნების წინააღმდეგ. ლენინმა „ვპერიოდის“ რედაქციის სახელით წამოაყენა ყრილობის სანიმუშო დღის წესრიგი, რომელშიც ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად პირველ ადგილზე იყო წამოწეული ტაქტიკის საკითხები, რაც ნაკარნახევი იყო რუსეთში დაწყებული რევოლუციით.

„ვპერიოდის“ რედაქციამ მოაწყო იმ დროისათვის ფართო განხილვა ყრილობის მოხსენებათა თეზისებისა და სხვა მასალებისა. გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე გამოხმაურებაში ადგილობრივი პარტიული კომიტეტები და მუშათა კოლექტივები თავიანთ სრულ სოლიდარობას უცხადებდნენ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს და „ვპერიოდის“ რედაქციის ლენინურ ხაზს. აი ერთ-ერთი ასეთი გამოხმაურება — ბრიანსკის ქარხნის მუშების წერილი:

„ყრილობას ვთხოვთ, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მიიღოს წესდების პირველი პარაგრაფი ლენინის რედაქციით, ხოლო მარტოვის ფორმულირება კუბოში ჩაეფიროს... ვფიქრობთ, რომ ყრილობა არ დაუთმობს ოპორტუნიზმს მხოლოდ იმისათვის, რომ შეაკოწიწოს ერთი პარტია“.

გაზეთ „ვპერიოდის“ მიერ მოწყობილი ფართო კამპანია მესამე ყრილობის მოწვევისათვის წარმატებით დამთავრდა. ყრილობის გახსნამდე ცოტა ხნით ადრე ლენინმა „ვპერიოდის“ ფურცლებზე სავსებით მართებულად განაცხადა: „ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვიზეიმოთ სრული მორალური გამარჯვება! რუსეთმა აჯობა საზღვარგარეთლებს, პარტიულობამ გაიმარჯვა ფრიმანანზე“ (თხზ., ტ. 8, გვ. 306).

პარტიის მესამე ყრილობა შეიკრიბა ლონდონში, 1905 წლის აპრილ-მაისში. მან განსაზღვრა პარტიისა და რევოლუციის ტაქტიკური ხაზი. გაზეთ „ვპერიოდის“ ტაქტიკური ხაზი მესამე ყრილობის ტაქტიკური ხაზი გახდა.

ყრილობამ ცვლილებები შეიტანა პარტიის წესდებაში, მიიღო წესდების პირველი პარაგრაფი ლენინის ფორმულირებით. ყრილობამ გაკიცხა მენშევიკები, როგორც პარტიიდან გამოთიშული ნაწილი.

ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში აღნიშნა გაზეთ „ვპერიოდის“ თვალსაჩინო როლი მენშევიზმის წინააღმდეგ, პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში, დაწყებული რევოლუციის მიერ წამოყენებული საკითხების დასმასა და გაშუქებაში და მადლობა გამოუცხადა გაზეთის რედაქციას.

მესამე ყრილობის გადაწყვეტილებით გაზეთ „ვპერიოდის“ ნაცვლად პარტიის ცენტრალური ორგანოს სახით დაიწყო გაზეთ „პროლეტარის“ გამოსვლა. „პროლეტარის“ რედაქტორად ყრილობამ ვ. ი. ლენინი დაამტკიცა. თავისი მომართულებითა და ხასიათით გაზეთი „პროლეტარი“ გაზეთი „ვპერიოდის“ პირდაპირი და უშუალო გაგრძელება იყო.

* * *

გაზეთ „ვპერიოდის“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავი ჩვენი პარტიის უდიდესი ისტორიული გამარჯ

## ხო ში მინის საახალწლო წერილი

პეკინი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხანოიდან იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა თავის საახალწლო წერილში ვიეტნამელი ხალხისადმი აღნიშნა ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას მომდინარე წელს.

„ჩვენ, — განაცხადა მან, — მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ზუსტად დავიცვათ შეთანხმებანი დაზავების შესახებ. ამავე დროს მოვუწოდებთ მეორე მხარეს ასევე კეთილსინდისიერად შეასრულოს შეთანხმებანი დაზავების შესახებ, პატივი სცეს ხალხის დემოკრატიულ თავისუფლებებს, ბოლო მოუღოს ტერორისტულ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ და აღარ წააქეზოს ან არ აიძულოს ჩრდილოეთში მთელი რიგი ჩვენი თანამემამულენი გაიხიზნონ სამხრეთში“.

პრეზიდენტმა ხო ში მინმა მადლობა უძღვნა მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიას იმ წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა დაზავების შესახებ შეთანხმებათა განხორციელების საქმეში.

მან განაცხადა, რომ ვიეტნამი არ შეიძლება გაყოფილი იყოს და რომ „ჩვენ უნდა განვავითაროთ მჭიდრო ურთიერთობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“. ეს ამოცანები, ხაზგასმით აღნიშნა ხო ში მინმა, უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ გავაადვილოთ თავისუფალი საყოველთაო არჩევნების მოწყობა და ქვეყნის გაერთიანება. „ჩვენ მზადა ვართ გულწრფელად გავერთიანდეთ იმ პირებთან ან ჯგუფებთან, რომლებსაც სურთ მშვიდობა, გაერთიანება, დამოუკიდებლობა და დემოკრატია.

ჩვენ დავეყრდნობით ხუთ პრინციპს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩინეთისა და ინდოეთის პრემიერთა და ჩინეთისა და ბირმის პრემიერთა ერთობლივ განცხადებებში კამბოჯისა და ლაოსის სამეფო მთავრობებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. ჩვენ განვავითარებთ მეგობრულ ურთიერთობას სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებთან.

ჩვენ შევეცდებით აღვადგინოთ ეკონომიური და კულტურული კავშირ-ურთიერთობა საფრანგეთთან თანაცხოვრებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპის საფუძველზე“.

## ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ხანოიში

პეკინი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხანოიდან იუწყება, 1 იანვარს იქ გაიმართა ჯარების პარადი და დემონსტრაცია, მიძღვნილი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რესპუბლიკის დედაქალაქში დაბრუნებისადმი. დემონსტრაციის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ პრეზიდენტ ხო ში მინს, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალურ მდივანს ტრუონგ შინს, პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ფამ ვან დონგს, ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარსარდალს ვო ნგუენ ზიაპს.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100 ათასმა კაცმა.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრესი

პეკინი, 2 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გამოაცხადა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც პროტესტს აცხადებს იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რასაც შეერთებული შტატები კორეის გაერთიანებას უქმნიან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამინისტრო აცხადებს, რომ სავსებით უპერს მხარს საბჭოთა წინადადებას, რომელიც შეტანილია პოლიტიკურ კომიტეტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე; ეს წინადადება მოითხოვს მოწვეულ იქნას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა თანმიერი კორეის საკითხის განსახილველად.

წინადადება უარყვეს შეერთებულმა შტატებმა.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: „ვიეტნამელი ხალხი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მტკიცედ იბრძვიან რა ყველა შეთქმულებისა და საქმიანობის წინააღმდეგ, რომლებიც ფუშავენ ჟენევის შეთანხმებათა განხორციელებას, მტკიცედ ილაშქრებენ ამერიკელი იმპერიალისტებისა და ლი სინ მანის ხროვის აქტების წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფვიან ძირი გამოუთხარონ მშვიდობას და ხელი შეუშალონ კორეის გაერთიანებას, აგრეთვე ფაზავების შესახებ შეთანხმების უხეში დარღვევის წინააღმდეგ“.

განცხადება აგრეთვე მხარს უჭერს კორეაში დაზავების სამხედრო კომისიაში კორეა-ჩინეთის დელეგაციის წინადადებას იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მოსახლეობას ნება დაერთოს დაამყაროს კონტაქტი კორეის გაერთიანების ინტერესებისათვის, რაც უარყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ლისინმანელებმა. „ამეამად კორეელი ხალხი, ისევე როგორც ვიეტნამელი ხალხი, იღებენ ღონისძიებებს მშვიდობისათვის, თავიანთი სამშობლოს გაერთიანებისათვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად“.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია: „ვიეტნამელი ხალხი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მტკიცედ იბრძვიან რა ყველა შეთქმულებისა და საქმიანობის წინააღმდეგ, რომლებიც ფუშავენ ჟენევის შეთანხმებათა განხორციელებას, მტკიცედ ილაშქრებენ ამერიკელი იმპერიალისტებისა და ლი სინ მანის ხროვის აქტების წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფვიან ძირი გამოუთხარონ მშვიდობას და ხელი შეუშალონ კორეის გაერთიანებას, აგრეთვე ფაზავების შესახებ შეთანხმების უხეში დარღვევის წინააღმდეგ“.

„სამი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის საკანონმდებლო კრებების წარმომადგენელნი, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — ვმობენ საბარცხვინო ზეგავლენას, რომელსაც დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები ახდენენ დასავლეთ ევროპის პარლამენტებზე, რათა აიძულონ ისინი დაამტკიცონ პარიზის შეთანხმებანი. ეს უმაგალითო ზეგავლენა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ამ ბოლო დროს და უხეშად შეურაცხყოფს ერების ღირსებას, ისევე როგორც ფარული მაქინაციები, რომელთა საშუალებით ხალხთა აშკარად გამოხატული ნების წინააღმდეგ გაპყავთ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილებს მათი ინიციატორების აგრესიულ და მშვიდობის საქმისადმი მტრულ ზრახვებს.

პარიზის შეთანხმებანი ეწინააღმდეგებიან ხალხთა ნებასა და სასიცოცხლო ინტერესებს. ისინი ეწინააღმდეგებიან აგრეთვე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეიცავენ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის საფრთხეს. ხალხები მოითხოვენ მშვიდობას, სულ უფრო მტკიცედ უარყოფენ პარიზის შეთანხმებებს, არ სურთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და სამხედრო ბლოკების პოლიტიკა. ევროპის ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებას — აღკვეთონ ახალი ომის საფრთხე მოწმობს აგრეთვე ბრძოლა, რომელიც დასავლეთ ევროპის პარლამენტებში წარმოებს. პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე იყო საფრანგეთის პარლამენტში.

ფრანგი ხალხის თავდადებული ბრძოლა მისი მოსისხლე მტრის — გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის წინააღმდეგ მძლავრ გამოხმაურებას პოულობს ჩვენი ხალხების გულსა და გონებაში. ჩვენი ქვეყნების ხალხები დარწმუნებული არიან, რომ ეს ბრძოლა არ თავდება იმ კენჭისყრის შედეგებით, რომელიც ზეგავლენით მოხდა 1954 წლის 30 დეკემბერს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ფრანგი ხალხი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის დანარჩენი ქვეყნების ხალხები, არ შეწყვეტს თავის მამაცურ ბრძოლას მანამდე, სანამ მისი ნება არ გაიმარჯვებს.

ევროპის ხალხთა დიდ ბრძოლაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და უშიშროებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ხვდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას, სადაც განუწყვეტლივ იზრდება ხალხის პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ფენების წინააღმდეგობა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და მილიტარიზმის აღდგენისადმი, ძლიერდება წინააღმდეგობა ბონის პრო-ამერიკული პოლიტიკისადმი, რომელიც ხელს უშლის გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

გერმანელი მუშები და გლეხები, გერმანელი ახალგაზრდობა, კათოლიკები და პროტესტანტები — ყველა გერმანელი პატრიოტი, რომლებიც ამეამად დასავლეთ გერმანიაში ბრძოლას ეწევიან მილიტარიზაციის წინააღმდეგ, თავიანთი სამშობლოს ერთიანობის აღდგენისათვის, არა მარტო იბრძვიან თავიანთი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე იცავენ მშვიდობის წმინდა საქმეს და ყველა ხალხის დამოუკიდებლობას.

## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წარმომადგენელთა თათბირი

პრაღა, 31 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრაღაში დამთავრდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი შეიკრიბნენ „რათა განეხილათ მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტებში პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით და რათა გამოეხატათ თავიანთი ხალხების მისწრაფება — დაიცვან მშვიდობა და იბრძოლონ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ“.

„სამი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის საკანონმდებლო კრებების წარმომადგენელნი, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — ვმობენ საბარცხვინო ზეგავლენას, რომელსაც დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები ახდენენ დასავლეთ ევროპის პარლამენტებზე, რათა აიძულონ ისინი დაამტკიცონ პარიზის შეთანხმებანი. ეს უმაგალითო ზეგავლენა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ამ ბოლო დროს და უხეშად შეურაცხყოფს ერების ღირსებას, ისევე როგორც ფარული მაქინაციები, რომელთა საშუალებით ხალხთა აშკარად გამოხატული ნების წინააღმდეგ გაპყავთ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილებს მათი ინიციატორების აგრესიულ და მშვიდობის საქმისადმი მტრულ ზრახვებს.

პარიზის შეთანხმებანი ეწინააღმდეგებიან ხალხთა ნებასა და სასიცოცხლო ინტერესებს. ისინი ეწინააღმდეგებიან აგრეთვე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეიცავენ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის საფრთხეს. ხალხები მოითხოვენ მშვიდობას, სულ უფრო მტკიცედ უარყოფენ პარიზის შეთანხმებებს, არ სურთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და სამხედრო ბლოკების პოლიტიკა. ევროპის ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებას — აღკვეთონ ახალი ომის საფრთხე მოწმობს აგრეთვე ბრძოლა, რომელიც დასავლეთ ევროპის პარლამენტებში წარმოებს. პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე იყო საფრანგეთის პარლამენტში.

ფრანგი ხალხის თავდადებული ბრძოლა მისი მოსისხლე მტრის — გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის წინააღმდეგ მძლავრ გამოხმაურებას პოულობს ჩვენი ხალხების გულსა და გონებაში. ჩვენი ქვეყნების ხალხები დარწმუნებული არიან, რომ ეს ბრძოლა არ თავდება იმ კენჭისყრის შედეგებით, რომელიც ზეგავლენით მოხდა 1954 წლის 30 დეკემბერს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ფრანგი ხალხი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის დანარჩენი ქვეყნების ხალხები, არ შეწყვეტს თავის მამაცურ ბრძოლას მანამდე, სანამ მისი ნება არ გაიმარჯვებს.

ევროპის ხალხთა დიდ ბრძოლაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და უშიშროებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ხვდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას, სადაც განუწყვეტლივ იზრდება ხალხის პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ფენების წინააღმდეგობა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და მილიტარიზმის აღდგენისადმი, ძლიერდება წინააღმდეგობა ბონის პრო-ამერიკული პოლიტიკისადმი, რომელიც ხელს უშლის გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

გერმანელი მუშები და გლეხები, გერმანელი ახალგაზრდობა, კათოლიკები და პროტესტანტები — ყველა გერმანელი პატრიოტი, რომლებიც ამეამად დასავლეთ გერმანიაში ბრძოლას ეწევიან მილიტარიზაციის წინააღმდეგ, თავიანთი სამშობლოს ერთიანობის აღდგენისათვის, არა მარტო იბრძვიან თავიანთი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე იცავენ მშვიდობის წმინდა საქმეს და ყველა ხალხის დამოუკიდებლობას.

მშვიდობისმოყვარე ადამიანთა მილიონიან მასებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის სრძოლაში მათ მეგობრულ და აქტიურ დახმარებას გაუწევენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი და ყველა დანარჩენი მშვიდობისმოყვარე ხალხი. ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირმა დასახა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის, ევროპის მშვიდობისა და ევროპის ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის სწორი გზა. ევროპის ხალხთა უშიშროება უზრუნველყოფილი იქნება, თუ იმის ნაცვლად, რომ შეიქმნას სხვა სახელმწიფოებისადმი დაპირისპირებულ ზოგიერთ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებები, შეიქმნება კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ხალხები ჰიტლერელთა აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდნენ. ეს მათ უფრო, ვიდრე ვინმე სხვას, აძლევს უფლებას და აკისრებს მოვალეობას გააფრთხილონ ევროპის ხალხები დასავლეთ გერმანიის აგრესიული ძალების აღორძინების საფრთხის წინააღმდეგ და მიიღონ თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფად ყველა ღონისძიება, რათა არ გამეორდეს ხალხთა საშინელი ტანჯვა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უშეალო საფრთხე მოელინა რევანშისტული ვერმახტის აღდგენის შედეგად. ამიტომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც გააღრმავონ ყველა დარგში თავიანთი თანამშრომლობა და დაიხმარონ ერთმანეთს. ისინი დაუცხრომლად განამტკიცებენ თავიანთ მეგობრობას ძლევამოსილ საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან, აგრეთვე ყველა დანარჩენ მშვიდობისმოყვარე ხალხთან. ისე როგორც მშვიდობის ბანაკის ყველა ქვეყანა, ჩვენი სამი ქვეყანა ვერ იქნება იმის გულგრილი მეთვალყურე, თუ როგორ აღადგენენ გერმანიის მილიტარიზმს — ახალი აგრესიის განხორციელების იარაღს.

ჩვენ ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში მიიღონ ყველა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია მათი დამოუკიდებლობის, მათი მშვიდობიანი შრომის, მათი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელუხლებლობის უზრუნველყოფად.

ჩვენ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წარმომადგენელნი, როგორც ჩვენი ხალხების ინტერესების ერთგული გამომხატველნი და დამცველნი, ვაცხადებთ, რომ ჩვენს ქვეყნებში ხალხი სრულ და ქმედითს დახმარებას გაუწევს თავის მთავრობებს ამ ღონისძიებათა განხორციელებისას. არასდროს არ ყოფილა მშვიდობის ბანაკი ასე მჭიდროდ დარაზმული და ძლიერი. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს განთავისუფლებული ხალხები ბედნიერი მომავლის გზაზე. ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა ახალ ენერგიას შემატებს ხალხებს მშვიდობისათვის ბრძოლაში და იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ყველა ქვეყანაში მშვიდობისმოყვარე ადამიანები საერთო ძალებით გამონახავენ მეგობრული ურთიერთგაგების მიღწევის გზას.

გერმანელ მილიტარისტთა, მათ ამერიკელ მფარველთა და მათ სხვა დამჭაშთა სამხედრო პროვოკაციის ყოველგვარი ცდა ჩაიფუშება.

ჩვენი ხალხები მზად არიან ყოველგვარი იერიშისაგან დაიცვან თავიანთი მართალი საქმე, ისინი არ დაიშურებენ ძალლონეს, რათა ყველა ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პოლიტიკამ გაიმარჯვოს ომის პოლიტიკაზე“.

## სინხუას სააგენტო ჩანკაიშელთა ზარალის შესახებ

პეკინი, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა, წინასწარი ცნობებით, 1954 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრამდე აღმოსავლეთ ჩინეთის რაიონში ჩამოაგდეს ჩანკაიშელთა 39 თვითმფრინავი, ჩანკაიშელთა 92 თვითმფრინავი დააზიანეს, ერთი მფრინავი თავისი თვითმფრინავით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გადმოფრინდა.

გარდა ამისა, იმავე პერიოდში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა საერთო რიცხვით ჩაძირეს და დააზიანეს 33 სამხედრო გემი, ჩაახშეს ჩანკაიშელთა 12 საარტილერიო პოზიცია. მოსპობილია 15 საარტილერიო ქვემეხი, ერთი საპონტონო მისადგომი სომარი მასალისა და საწვავის 6 საწყობი და 4 საკომანდო პუნქტი.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს 21 გემი, 420-ზე მეტი ქვემეხი, ბევრი ტყვიამფრქვევი და შაშხანა, 26 ათასზე მეტი ვაზნა და ყუმბარა, 14 რადიოდანადგარი.

ამ პერიოდში მოკლული და დაჭრილია ჩანკაიშელთა ჯარების 376 ჯარისკაცი და ოფიცერი, 2.646 კაცი წამოყვანილია ტყვედ, 123 კაცი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე გადმოვიდა.

აღნიშნულ პერიოდში ჯეძიანის პროვინციის სანაპიროსთან განთავისუფლებულია კუნძულები ტოუმინშანი, ტიანოუ და ძიანეროუ.

## ხელი მოაწერეს ოქმს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ჩინეთის დახმარების შესახებ

პეკინი, 31 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, 31 დეკემბერს პეკინში ხელი მოაწერეს ოქმს 1955 წელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარების შესახებ. ოქმის თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწოდებს საშენ მასალას, სატრანსპორტო მოწყობილობას, მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციას, სატვირთო ვაგონებს, ჩარხებს, ნედლეულს ქიმიური მრეწველობისათვის, საფეიქრო მოწყობილობას, ქვანახშირს, ბამბეულის ნაწარმსა და ქაღალდს.

ოქმის ხელმოწერა შედეგია იმ მეგობრული მოლაპარაკებისა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა წარმომადგენლებს შორის გაიმართა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით ოქმს ხელს აწერს საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე კუნ იუანი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ხვან ტაი სუნი.

31 დეკემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ ჯეიტუნში ოფიციალურად ბეჭდავს ოქმს 1955 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრამდე ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღდგენისა და განვითარებისადმი ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული ინდუსტრიის ზრდ